იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

სასწავლო კურსის პროგრამა

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება: **შესავალი კურსი ტურიზმში**

სალექციო კურსის კოდი SH.38

ლექტორი - ნელი ცქიტიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საკონტაქტო ტელეფონი - 5 99 39 35 11; 8 350 23 33 09.

E-mail: Nelly.Tskitishvili@gmail.com

კრედიტების რაოდენობა (ECTS): 5 კრედიტი

ხანგრძლივობა: 15 კვირა, 125 საათი. აქედან: სააუდიტორიო - 30 სთ (ლექცია - 15; პრაქტიკული - 15); დამოუკიდებელი - 95. კვირაში ჩატარდება 2 სააუდიტორიო შეხვედრა

სალექციო კურსის სტატუსი - სავალდებულო

კურსი ისწავლება სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ტურიზმის სპეციალობაზე

სალექციო კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ტურიზმის ძირითადი არსი, თეორიისა და პრაქტიკის საბაზო საკითხები, მისი როლი და ადგილი საერთაშორისო ტურიზმში, გააცნოს ტურიზმის ძირითადი ტერმინები და განმარტებები, მიმართულებები, მასთან დაკავშირებული თემატური ტურები და საექსკურსიო მომსახურება. სწავლების ძირითად ამოცანას შეადგენს მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც მიღწეული იქნება საშინაო დავალებების, ტესტების, სააუდიტორიო გამოკითხვისა და წერითი სამუშაოების მეშვეობით.

სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა: არ აქვს

სასწავლო კურსის გავლის შედეგად

ცოდნა და გაცნობიერება	შეისწავლის ტურიზმის არსს, თეორიისა და პრაქტიკის საბაზო საკითხებს, ძირითად მიმართულებებს.	შეუძლია ტურიზმის სფეროს სხვადასხვა კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად.	კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
დასკვნის უნარი	შეუძლია საკუთარი პოზიცია და შეხედულებები დასკვნის სახით წარმოადგინოს .	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ლოგიკური და თანმიმდევრული დასკვნების გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	აქვს პრეზენტაციისა და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი.	შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ასევე, სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად შეფასება.

სასწავლო კურსის შინაარსი

I კვირა: მოგზაურობა და მოგზაური. ტურიზმის დასაწყისი.

ძირითადი საკითხები:

სალექციო კურსის სილაბუსის გაცნობა;

მოგზაურობა;

ძველ ხალხთა მოგზაურობა;

მომლოცველობა;

პირველაღმოჩენები;

თანამედროვე მოგზაურობები, ტურიზმის დასაწყისი.

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ. 9-17

II-III კვირა: ტურიზმი

ძირითადი საკითხები:

ტურიზმი და მოგზაურობა;

ტურიზმი - მასობრივი მოვლენა და XX საუკუნის ფენომენი;

ტურიზმის განსაზღვრება. ტურისტული მოგზაურობის ხანგრძლივობა; დროებითი სტუმრობის ადგილი; მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; სიამოვნება; თავისუფალი დრო; სეზონურობა.

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია" გვ.18-33

IV კვირა: ტურიზმის მიზნები

ძირითადი საკითხები:

დასვენების და გამოჯანმრთელების მიზნები;

ტურისტული რესურსების ექსპლოატაცია;

პოლიტიკა და ტურიზმი;

ჰუმანიტარული მიზნები;

საშინაო დავალების წარდგენა

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია" გვ.34-43

V კვირა: ტურისტის მიზნები

ძირითადი საკითხები:

თავისუფალი დრო; რეკრეაცია; დასვენება.

საზოგადოებრივი მორალი და მართლწესრიგი;

დროებით ადგილსამყოფელზე დასაქმების გამორიცხვა.

შუალედური წერითი გამოკითხვა.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ. 43-50

VI კვირა: ტურიზმის საორგანიზაციო ფორმები და ძირითადი კატეგორიები

ძირითადი საკითხები:

შიდა და საერთაშორისო ტურიზმი;

გეგმური და თვითმოქმედი ტურიზმი;

ჯგუფური და ინდივიდუალური გეგმური ტურიზმი;

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ.50-58

VII კვირა: ტურისტული ფირმები და საწარმოები

ძირითადი საკითხები:

ტუროპერატორი, ტურაგენტი;

თვითმოქმედი ტურიზმი;

სოციალური ტურიზმი;

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია" გვ. 59-63

VIII-IX კვირა: ტურისტი.

ძირითადი საკითხები:

ტურისტის განსაზღვრება; შიდა და საერთაშორისო ტურისტი;

უფლება და თავისუფლება. (გადაადგილება, ეროვნება, ენა, სქესი, ასაკი, რელიგია, უმცირესობები)

ადგილობრივი და უცხოური ვალუტა;

ექსკურსანტი.

პრეზენტაცია.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ.64-82

X-XI კვირა: ტურიზმის სახეობები

ძირითადი საკითხები:

კულტურული ტურიზმი;

ეკოტურიზმი;

სასოფლო ტურიზმი;

რელიგიური ტურიზმი;

ახალგაზრდული ტურიზმი;

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ.200-224;

კვარაცხელია, ნ., „კულტურული ტურიზმი", გვ.9-22;

მეტრეველი, მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა", გვ.18-29.

XII-XIII კვირა: ნაციონალური პარკები და რეზერვაციები.

ძირითადი საკითხები:

გამოქვაბულებები, კოშკები, ციხე-სიმაგრეები;

მსოფლიოს საოცრებები, მსოფლიოს 50 პოპულარული ატრაქცია;

ცნობილი ნაციონალური პარკები;

თემატური პარკები;

საერთაშორისო სახალხო დღესასწაულები;

საერთაშორისო რელიგიური დღესასწაულები;

მართლმადიდებლური რელიგიური დღესასწაულები;

მსოფლიო დღესასწაულები, ფესტივალები, კარნავალები;

მსოფლიოს სასტუმროთა ქსელები;

სასტუმროს მომსახურების მანიშნებლები (პიქტოგრამები);

მუდმივმოქმედი საერთაშორისო ტურისტული გამოფენები;

პრაქტიკული სავარჯიშოები.

ლიტ-რა: ბირჟაკოვი, მ., ,,ტურიზმის თეორია", გვ.159-175;

მეტრეველი, მ., „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები", გვ.398-403; 437-445.

XIV – XV კვირა: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა

ძირითადი საკითხები:

ეროვნული დღესასწაულები;

საქართველოს რელიგიური სიწმინდეები;

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები;

საქართველოს კურორტები;

საქართველოს ბუნებრივი ძეგლები (მღვიმეები);

საქართველოს დაცული ტერიტორიები;

ღვინის ტურიზმი საქართველოში.

შუალედური წერითი გამოკითხვა.

ლიტ-რა: მეტრეველი, მ., „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები", გვ.408-436;

ლექტორის რიდერი; www.gnta.ge

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

კურსი პრაქტიკული ხასიათისაა, რაც გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში; სტუდენტების მიერ ყოველკვირეული დავალებების მომზადებას და მათ განხილვას. სწავლა წარიმართება ინტერაქტიული მეთოდით. სემინარები, პრეზენტაციები, დისკუსიები, დებატები, ტექსტის ანალიზი, მუშაობა მცირე ჯგუფებში, თვითშეფასება, სხვათა ნაშრომების შეფასება და სხვ. სტუდენტებს მეტ მოტივაციას შეუქმნის ამ საგნის უკეთ დაუფლებაში.

შეფასების კრიტერიუმები:

- სტუდენტი შეფასდება მაქს. 100 ქულით, რომელიც განაწილებულია შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შემდეგი თანაფარდობით:

  შუალედური შეფასება _მაქს. 60 ქულა

  დასკვნითი გამოცდა _მაქს.40 ქულა

  მათ შორის:

  2 შუალედური წერა_ თითოეული შეფასდება მაქს. 15 ქულით (მაქხ. 30% _2 X15)

  შუალედური წერის თემების შესახებ სტუდენტი გაფრთხილდება ერთი

კვირით ადრე. შედეგს სტუდენტი შეიტყობს დაწერიდან 3 სამუშაო დღეში.

- 4 ზეპირი გამოკითხვა_თითოეული შეფასდება მაქს. 5 ქულით (მაქს. 20 ქულა _4X5)
- 1 ზეპირი პრეზენტაცია _ შეფასდება მაქს. 10 ქულით (მაქს. 10ქულა_10 X1)

  წარდგენილი თემატიკიდან სტუდენტი სემესტრის დასაწყისშივე შეარჩევს ერთ-ერთ საპრეზენტაციო თემას და მომზადების პროცესში პროფესორისგან პერიოდულად მიიღებს კონსულტაციებს.

  სტუდენტები თემებს წარმოადგენენ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

  საპრეზენტაციო თემის მოცულობა უნდა იყოს არა ნაკლებ 2 ნაბეჭდი ან 3 ხელნაწერი (A 4 ფორმატი) გვერდისა.

პრეზენტაცია შეფასდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

-თემის გასაგებად წარმოდგენა _მაქს. 4 ქულა

-დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა _მაქს. 4 ქულა

-ვიზუალური საშუალებების გამოყენება _მაქს. 2 ქულა

გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც ექნება შუალედური შეფასება არა ნაკლებ 11 ქულისა.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) _91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) _81-90 ქულა

C (კარგი) _71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) _61-70 ქულა

E (საკმარისი) _51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება _41-50 ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.

ძირითადი ლიტერატურა:

ბირჟაკოვი, მ. (2008). ტურიზმის თეორია. თბილისი. (თარგმნა და რედაქტირება მ. მეტრეველის);

მეტრეველი, მ., (2008). ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბ. „ფორმა";

კვარაცხელია,ნ., (2009). კულტურული ტურიზმი. თბ."უნივერსალი";

მეტრეველი, მ., (2008), ეკოტურიზმის საფუძვლები, თბ."ფორმა".

დამატებითი ლიტერატურა:

მეტრეველი, მ. (2003). ტურიზმი. თბილისი: „უნივერსალი".

სირაძე, რ. (2000). ქართული კულტურის საფუძვლები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვებ გვერდი: www.kakheti.gov.ge; www.gnta.ge